საქართველო

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 136

კვირა, 19 თიბათვე, 1916 წ.



† ალ. ყიფშიძე (ფრონელი) 1916 წ. 15 თიბათვე.

ვინ დასდევს ერთს?!..

(ბუნებისმეტყველებიდან)

ცის მკერდზედ ციმციმით, ვით უცხო ალმაზი
ბრწყინავდა ვარსკვლავი, ბრწყინავდა ლამაზი...
იშვებდა, ილხენდა, უფრთხოდა ჯავრს,
გზა ბილიკს უკვლევდა მაშვრალსა მგზავრს...
იშვებდა... და ერთხელ, თბილ ნარნარ ღამესა
შეემთხვა რაღაცა მშვიდ-მოკამკამესა:
შეჰკრთა და შეინძრა!.. აფეთქდა ის...
მოსწყდა ცას... დაეშვა... და გაჰქრა მყის!..
არავის ეოცა, არავის ენიშნა,
ცამ მისი გაქრობა სულაც ვერ შენიშნა:
ურიცხვი ვარსკვლავი აკრავს მის მკერდს,
გინდ იყოს, გინდ არა, ვინ დასდევს ერთს?!.

***

შვენების ალერსით მიწიდან ხმობილი
ჰყვაოდა ზამბახი ნაზ-კეთილშობილი...
ეტრფოდა მორცხვადა მნათობსა მწველს,
მზეც ხარბად ჰკოცნიდა მის კისერ-ყელს!..
შვენოდა სურნელი... და ერთხელ, დილითა,
ოთხფეხა რაღაცა შეეხო ჯბილითა,
ბალახსა თავისით როს სძოვდა ის...
კვნესაც არ აცალა!. გააქრო მყის!..
არავინ მიეცა დარდსა და ნაღველსა:
სხვა ზამბახს უგზავნის მზე კოცნას დამწველსა,
მრავალი ზამბახი მიწის შავ მკერდს
ამშვენებს... ვინ დასდევს დაღუპულს ერთს?!..

***

შეიქმნა... და შეჰქმნა ამანაც მონება!.
ჰქონდა მას დიადი სული და გონება:
სწვდებოდა ცის სიღრმეს, დაბლა—ზღვის ფსკერს,
მსოფლიო ებარა—პაწია მწერს!..
მეფობდა... ჰმონობდა... ჰფრინავდა... ცოცავდა...
ვარდს ცრემლით ნამავდა, უმწეოდ ხოცავდა,
ეძებდა მიწიზედ ნათელ ცის კარს,
და სიმებს აწყვეტდა საცოდავს ქნარს!..
თბებოდა... სტკბებოდა წუთითა მწველითა!
ერთ ღამეს მოვიდა ნაბიჯით ნელითა
ის, ვინცა სხვის ნათესს ხარბადა მკის...
შეჰბერა!. აქცია ლეშადა მყის!!.
მერე რა?! ოჰო-ჰო! დიდი რამ მომხდარა!
არა რა შესცვლილა, არა რა წამხდარა!
ურიცხვი ორფეხა მიწის ხმელ მკერდს
სტკეპნის და... ვინ დასდევს ვღაცას ერთს?!.

კ. მაყაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო დარჩიაშვილის უკანასკნელი სურათი.
(ავადმყოფობით გარდაიცვალა გერმანეთში)



ირაკლი ალ. ჯაბადარი
(ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტ-კომპოზიტორი)

სიკო ბრაგვაძე
გმირულად მოკლულ იქმნა ოსმალეთის ფრონტზე.

ოქრი ფერილი

(დასასრული. იხ. „საქ.“ დამ. № 24)

მისი სუნთქვის სითბო ჩემს ტუჩებთან ვიგრძენ და ამ სიტყვებთან ერთად მარჯვენა ხელი წელს მომაშორა, ბეჭზედ მომკიდა და ისეთის ვნებით მიმიზიდა, მიმიჭდო მკერდზე, რომ უნებურად, გულის სიღრმიდგან, ვნების ცეცხლით ანთებული, ტკბილ გრძნობასთან შეზავებული ოხვრა ამომხდა.

ცეკვას ვათავებდით. ის ეყო გამოექანა ჩემი სავარძლისაკენ, მაგრამ ხელის გაქნევით უარი ვანიშნე და ხელგაყრილნი მეორე ოთახში გავედით. ღია ფანჯარასთან დავდექით.

აკი სწერენ რომანებში: „გრილი ნიავი მოხდა, გახურებული შუბლი გაუგრილა და ბურუსიდან გამოერკვაო“... შეიძლება იმ წუთში მეც ეგ მინდოდა, მაგრამ, წარმოიდგინე, ასე არ მოხდა. რამდენჯერმე შევისუნთქე სუფთა ჰაერი, უნებურად მისი მკლავი შივიკარ მკერდზე და იცი, რა ვიგრძენ?

მრცხვენიან, მაგრამ მაინც გეტყვი: ვიგრძენ ის, რაც ერთ მამაკაცისადმი არ მიგრძვნია. მე ვიგრძენ, რომ ვიპოვნე დანაკარგი... არა ჩემი ქმრების მსგავსი რამ, არამედ ალღომ ჩამჩურჩულა: „ეს კაცი შეგიყვანს იმ ნაკლს, რომელსაც დღიდან ჩემის დაასაკების ქალურის გრძნობით დავსტირი...

ამ ფიქრებში, მის მხარს თავით მიყრდნობილი დიდხანს ვიდექ და განაბული ვუსმენდი მისი გულის ძლიერს ძგერას.

— რაზედა ფიქრობ? დაარღვია სიჩუმე.

— არაფერზე... ისე... თითქოს გულის სიღრმეში ჩამხედა და იქ ამოიკითხა ჩემი ზრახვანიო,—ავირიე.

— ახირებული შეხვედრა! სთქვა მან, ნაზად ხელი გაინთავისუფლა, თავისკენ შემაბრუნა და თვალებში ჩამხედა. მის თვალებში ცხადად ამოვიკითხე: „შენა ხარ ჩემი ხორციელი მონა... შენს დაავადებულს სულს არ შევეხები, ვიდრე ჩემის ალერსით მას არ მოგირჩენ“...

...მეც დავემონე...

და გინდ გამკიცხე—იმ ღამეს სახლში გამომაცილა...

გავიდა ექვსი თვე ჯადოსნურის ცხოვრებისა.

დაღლილი სული ისვენებდა. გახვეულ ვიყავ ტკბილ სიზმარში და არცა მსურდა გამოღვიძება, მაგრემ ერთ დღეს ეს ტკბილი სიზმარი უტკბეს სინამდვილეთ ამიცხადდა... ვიგრძენ განხორციელება იმ ალღოსი, რომლის ხმა ფანჯარასთან მდგომს მომესმა.

მე დედა გავხდი!...

მერწმუნე დაო, მხოლოდ ეხლა ვიგრძენ, რა არის ქალის ბედნიერება!

არც მამაკაცისადმი სიყვარული, არც სიმდიდრე, არც სახელოვანება მონაგონიც არ არის იმ ბედნიერებასთან, რომელსაც განიცდის დედა, როცა იგი საფენს გადახდის და აკვანში დაინახავს მძინარეს, გაბადრულს თავის ნაშობს!..

შვილი!!

ღმერთო ჩემო, რამდენი სიღრმე და სილამაზეა, რა ძლიერი ტრაღედიაა ამ ერთ სიტყვაში!

ყოველი „სიტყვა“, რაც გინდ ლამაზი და ძლიერი იყოს იგი, თუ არ გაჰკვნიტე და ისე გადაყლაპე, მისგან არაფერი გრჩება, გარდა გარეგანი ფორმისა.

აბა გაჰკვნიტე სიტყვა „შვილი“ და დარწმუნებული ვარ შენც იგრძნობ მის სიღრმე-სიგანეს.

რომ იცოდე, როგორ მებრალები, რომ შვილი არა გყავს, მაგრამ შენც ხომ ქალი ხარ, მაშასადამე მთელის შენის არსებით იგრძნობ მის მნიშვნელობას.

ბევრი პოეტი ეცადა აეწერა დედის გრძნობა. წინედ რომ ვკითხულობდი, აღტაცებული ვიყავ; ეხლა კი ყველა ის ხოტბა-ქება და ნაზი სიმების ჟღერა ჩემს გრძნობასთან შედარებით მეჩვენება ტლანქათ, უფერულად...

ძნელია სიტყვით გამოთქმა, ანუ აღწერა იმ გრძნობისა, რომელსაც განიცდის დედა, როდესაც იგი თავის შვილს ნანას უმღერს,—ასევე ძნელია გადმოცემა იმ ბედნიერებისა, რომელსაც გრძნობს დედა პირველი შვილის დახახვაზე.

მზე რომ დაბნელდეს,—ჩემი ოთარი გამინათებს.

გიკვირს განა, რომ მე ჩემს შვილს ოთარი დავარქვი და არა რომელიმე უცხო სახელი?!

არა, დაო, ნუ გაგიკვირდება!..

ამ ბედნიერებამ სულ სხვა ადამიანად მაქცია.

თუ წინად ჩემი სიყვარული სამშობლოს ხღუდეს გასცილდა და მთელს მსოფლიოს გარს შემოევლო, ეხლა ამ ზღუდეს აღარ შორდება, რადგან ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვრებში ჰპოვა სიყვარულის საგანი...

მიყვარს ჩემი ქვეყანა, იმიტომ რომ მიყვარს ჩემი ოთარი; მიყვარს ჩემი სამშობლოს ბუმბერაზი მთები, რადგან მათში ვეჭვრეტ ჩემი შვილის ძლიერებას... მდინარის დუდუნში, ქარის შხუილში, ფრინველთა ჭიკჭიკში მესმის ჩემი ოთარის ღუღუნი... მცენარეს ბუჩქს, ყოველ ატომს ჩემის სამშობლოისას ვეტრფი და შევხარი, რადგან ყველა მათში ჩემი შვილის ნაწილსა ვხედავ...

მიყვარს ყველა... ჩემი მეორე ქმარიც-კი, იმიტომ, რომ მასაც უყვარს ოთარი.

გაიგო თუ არა ჩემი ფეხმძიმეობა, წარმოიდგინე, სმას თავი დაანება და საქმეს დაუბრუნდა; სრულიად გამოიცვალა! ვატყუებ—შენიამეთქი... იმედი მაქვს ეს ტყუილი არ ჩამეთვლება დიდ ცოდვად... ამით საზოგადოებას ვუბრუნებ თვალსაჩინო წევრს და ოთარის მომავალიც უზრუნველყოფილია.

უფრო მეტად-კი ოთარის მამა მიყვარს, რადგან მან მაგრძნობინა რა არის დედა.

ვიცი, ირონიულად ჩაიცინებ და ასე იტყვი: „გაივლის დრო, შვილიც დაგავიწყდება და კიდევ ვინმე გაგიტაცებსო“.

არა, დაო, ეს არ მოხდება! მე ვეძიებდი ბედნიერებას; ხომ ყველა ადამიანს აქვს უფლება ეძიოს ბედნიერება? მეც ვეძიებდი და ვპოვე იგი! რა გზით, რა საშუალებით ეგ სულერთია!

ეხლა თუნდა მთელი მამათა სქესი გადაშენდეს, კაცობრიობის იდეალი გაქარწყლდეს,—არას დავეძებ, არას ვჩივი! მე მყავს ჩემი იდეალი, ჩემი მიზანი!!

თუ წინეთ სხვა იყო ჩემი ზევესი,—ეხლა თვით მე ვარ ვესტა და მთელ ქვეყანას თვალთუწვდენელ სიმაღლიდან დავცქერი!..

ეხლა შემიძლია ყელი ამაყად მოვიღერო და თამამად ვსთქვა:

„ცხოვრებაში მიზანი მაქვს და ბედნიერიც ვარ“!!.

შენ თუ გინდა გამკიცხე!

. . . . . .

შენი ნალარ.

ვალ. შალიკაშვილი.

ცემი.

გამოცანა

მიხტი-მოხტის კაცი ვარ
მეტი სხვა არაფერი,
არეული ვაცი ვარ, *)
არც რქები მაქვს, არც წვერი.
დღეს ერთს ვიტყვი—ხვალე სხვას!
ჩემთვის არაფერია,
რწმენაა თუ ნამუსი
რა ვიცი რა ფერია?!
სადაც დავიკაკანებ
იქა მგონია ბინა...
ოხერმა ხასიათმა
ბევრი რამ მაგმობინა:
მოყვარე რომ დავწიხლე,
ძმად გავიხადე მტერი...
მიხტი-მოხტის კაცი ვარ,
მეტი სხვა არაფერი!—

გამოცანა.

*) გარეული თხა.

დეკ. ტარასი ივანიცკი
ტომით ირგილო. გერმანეთის ფრონტზე კონტუზია მიიღო. დაჯილდოვებულ იქნა ვლადიმირის ორდენის ხმლით და ოქროს ჯვარით გიორგის ლენტით. ამის გარდა დაჯილდოვებულ იქნა ენქერით.

ქარუმა ივ. ნატროშვილი
უკვალოდ დაკარგულია

ივლიანე მეთოდის ძე ულენტი.
გმირულად მოჰკლეს გალიც. ფრონტზე.

პოლკოვნიკი ა. მ. ლანერბაი
გმირულად დაიღუპა კავკას. ფრონტზე.

ალექსანდრე ზურაბის ძე გეორგობიანი.
გაათავა დარმშტადტის უნივერსიტეტის საინჟინერო ნაწილი, ომის გამო ტყვედ დარჩენილია გერმანეთში.

სევდის ჰანგები

„ვიღაც არ არის—ვიღაც მაკლია“.

რა სიხარულია!

გაგიგონია შენ, მეგობარო—მუსიკა ციური სალამურისა?

დამტკბარხარ ღამის დუმილით?

წაგიკითხავს მხიბლავი სტრიქონები განუმეორებელი უკვდავებისა?

გიგრძვნია შენ როდისმე ძახილი ცისა—როცა ბრწყინავდნენ ობოლი ვარსკვლავები და შენს წამებისაგან დაქანცულ მკერდში დაბადებულა უსუსური კვნესა მდუმარე სიხარულისა?

დამთვრალხარ მთვარის ციალით?

რა სილრმეა!—რა სილრმეა—თქვენი ჭირიმეთ!—რა იდუმალი ნეტარებაა!

* * *

ზღაპარია თუ?

ირგვლივ ტყე არის. ღამეა. ვარსკვლავები და მთვარე...

მე მარტო ვარ აქ—როგორც ღმერთი ცაში... სიჩუმეა...

ცის ბნელ გუმბათში მთვარის ბურუსი ავარაყებს ვარსკვლავთ სიმორცხვეს. და სივრცეში დაღალულად მიმოდიან აზიზ ღრუბელთა—ამ განუზომელი სივრცის მუდმივ მოარულეთა,—ამ მდუმარე სევდის ჩუმ მგალობელთა—გამჭვირვალე ქარავნები. მიმოდიან და ისეთის ნაზი გრაციით ეალერსებიან ობოლ ვარსკვლავებს...

ისეთის სევდით...

ვარსკვლავები თრთიან. თვალს მიშვრებიან. მეძახიან...

ვერცხლის სხივები კდემამოსილად ებნევიან მძინარე დედა-მიწას.

სიჩუმეა...

ნიავი ჩურჩულებს სიყვარულზე და ფოთოლთ ტრფობას იჭვის ჟრუანტელი აშრიალებს... მაღალი ხეები ლანდებათ არიან აშვერილი ფერ მქრალ სივრცეში და ეთეროვან გამჭვირვალე ჰორიზონტს სალამს აძლევენ ნელი რხევით.

სიჩუმეა!..

სადღაც შორს გალობენ რაღაც ჩიტები მოლოდინის „ძილისპირებს“ და მათი გალობის წყნარი ჰანგები იკარგებიან ტყის სილრმეში—ვით მორჩილების სონეტი, სატრფოს ვნებიან მკერდზე დანამღერი.

აქ ახლოს მდინარეა—რომლის ზომანარევი და ნაპერწკალცივი ჩადუდუნი—ჰბასრავს ღამის სიჩუმეს—ვით ჯადოსნობის ლეიტ-მოტივი, ვით მუსიკა დაფარული ზეიმისა, მოპარული კოცნის საიდუმლო სიმფონია. სიჩუმეა...

როგორ თრთის ჩემი გული და რა წყნარ სიამეს განიცდის სული—ღმერთო ჩემო!

მე მარტო ვარ. ჩემთან საუბრობენ უხილავი ღმერთები. გაგვისწორდიო—მეუბნებიან...

მე ვეტრფი—ვეალერსები ეხლა სულით თვითეულ ფოთოლს ამ ღამეში გაშლილ ტყისას... მე ვლოცავ ზეცას და შემოქმედს... მე ვუგზავნი გულითად სალამს და ძმურ ხელს ვუწვდი—აი ამ წუთში—ყველა ცოცხალ არსებას მთელი ქვეყნისას. მე მსურს ეხლა დავაჯილდოვო ყველა ადამიანი განუსაზღვრელი სიკეთით—რაც ეხლა ტალღა-ტალღათ დამირბის მთელს არსებაში...

— ჰეი, გადაეცი ჩემი სალამი და სიყვარული ჩემს ქვეყანას—ნიავო! გადაეცი სამშობლოს ხუჭუჭა მინდორველებს და ჩემი ენით მოსაუბრე მოძმეებს ჩემი სიყვარული და აღტაცება—გეთაყვა!—ცელქო ნიავო.

ჩემი იმედის უკვდავ სევდას გეფიცები—დაგაჯილდოებ: მკერდს გადაგიშლი და ჩაგიხუტებ, მოგისმენ, ჩაგნთქავ—გეთაყვა—ნიავო... გადაეცი ჩემი სიყვარული ჩემ ქვეყანას. ასწავლე. მოხიბლე. დაარწმუნე. ზღაპრათ უამბე...

* * *

მოდი ცაში ავფრინდე? ღრუბლებს ჩავეკონო? ჩავყლაპო მათი მწველი სინაზე?

არა! მე დავგორდები აი ამ ჩემს მშობელ მიწაზე და დავკოცნი ყველა ბალახებს—მადლობის მაგიერ. სახეს ჩავრგავ ბალახთა ბუჩქში—ვით უებრო ქალწულის თმებში—და ვიტყვი ლოცვას—სამადლობელს. დავლოცავ ღმერთს ამ ღამის გაჩენისათვის, რომ მან მომცა მე სიცოცხლე. სიყვარულის და ტანჯვის ნიჭი, რომ მე ისე ძლიერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნაზად ვგრძნობ და ვნთქავ ციურ ბედნიერებას მიწის სიხარულში არეულს. რომ ეხლა, როცა ყველას სძინავს—მარტო მე ვარ ამ ღამეში მღვიძარე და ვხედავ სულის თვალებით—თუ როგორ მთელი ჩემი ქვეყნის სივრცეზე ახალი სიყვარული იბადება—რომელიც ყველას მოაჯადოებს...

არა! მე ავალ აი ამ ყველაზე მაღალი ხის წვეროზე—აგერ ვრცელი სილუეტი რომ სდგას ბუმბერაზათ—და გადავსძახებ ქვეყანას: ჩემო სამშობლო-—იცოცხლე მარად. იყავი ბედნიერი და კურთხეული იმ სიყვარულისთვის—რომელიც შენ მუდამ გამშვენიერებდა. გტანჯავდა და გამშვენიერებდა. იცოცხლე მარად...

არა!—მე გადავეშვები ამ მდინარეში, წავყვები მას ცურვით და ყველა ნაპირებზე გადავძახებ, მთელ ქვეყანას შევატყობინებ: რომ ჩემს სამშობლოში—რომელიც მუდამ სათნო სიყვარულის მშვენიერი რაინდი იყო—ახალი სიყვარული დაიბადა... სიყვარული გიხსნით ყველას—სიყვარული—გესმით!

მე დავსწერ...

აჰ—ღმერთო ჩემო—რა ბედნიერი ვარ ამ ღამეში—გესმის?—ნიავო—ბედნიერი... მაგრამ...

ე—ეხ—მარტო ვარ აქა, ამ სიჩუმეში და ჩემი სიხარულიც ობოლია ისე, როგორც სიყვარული და მტკივა გული რომ: აქ—

„ვილაც არ არის—ვილაც მაკლია“.

თ. იანელი.

მასწავლებელთა ყრილობა თბილისში.

თუშთა ტიპები

თუშის ქალები.

თუშები.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

ოედაქტორ გამომცემელი ალექსანდრ შანშიაშვილი.